

## გიორგი სოსიაშვილი

### პატარა ლიახვის ხეობა (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა)

მდ. პატარა ლიახვი სათავეს გულისის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთაზე (ზღვის დონიდან 2920 მ) იღებს და სამხრეთით შიდა ქართლის ვაკეზე მიედინება. მისი დინების სიგრძე 65 კმ-ს შეადგენს, ხოლო აუზის ფართობი – 513 კვ/კმ-ს. მდ. პატარა ლიახვის დინება სოფ. შერთულთან წყდება, სადაც ის მდ. ლიდ ლიახვს უერთდება.

ვახუშტი ბაგრატიონის აღწერით: „ხოლო ისროლის ხევის და უამურის დასავლით არს პატარა ლიახვის ხეობა. ამათ განპყოფს მთა ბენდერისა, წიფორისა და ქნოლოსი. მდებარეობენ მთანი ესენი ჩრდილოდამ სამხრით კავკასიონი. ამ მთებს უძევს აღმოსავლით ისროლის ხევი, ჭურთა და უამური, დასავლით პატარა ლიახვი ქნოლოს ზეით მცირეს ტბას და მოდის ფოტრისამდე სამხრეთად. მერმე საცხენის ქუემოთამდე დასავლეთად, მერმე კიდევ სამხრით, ხოლო ვანათს ერთვის დასავლიდამ ლიახვის ხევი გერისა, გამოდის მშელების მთას და დის სამხრით. ამას ზედა მსახლობელნი არიან ოსნი. უწოდებენ ვანათითურთ სავახტანგოს.“

ხოლო ვანათსა, საცხენისა და ბელოთს ზეით ერთვის ფოტრისის ხევი, ლრმა და კლდიანი, განსავალი. გამოსდის გერისა და შუაცხვირის მთას. შუაცხვირს მსახლობელნი არიან ოსნი. ამ ფოტრისას ხევს ზეით არს აწრისხევი... მას მოერთვის ხევი შამბიანისა ლიახვს აღმოსავლიდამ. გამოსდის უამურის მთას და დის დასავლეთად. ამ ხევს ზეით ერთვის ლიახვს ხევი ჩაბარუხეთისა, გამოსდის გერის მთას დის აღმოსავლით, ერთვის ლიახვს დასავლიდამ. ამ ლიახვის შესართავს ორსავ წყალს შუა არს ციხე ბეყჩისი. ამ ციხეს ზეით არს ქნოლო სამ ხეობად. აღმოსავლიდამ ჩრდილოდამ და დასავლით – ჩრდილოდ შუადამ, ხოლო ტბა ქნოლოსი არს მცირე, რომელსა სდის ლიახვი. ამ ტბიდან ვანათამდე არს ლიახვის ხეობა უვენახო, უხილო, ვითარცა დავსწერეთ მთის ხევი და სივიწროვით ესე უფროს მწირი“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 3610363).

XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საქართველოში ნამყოფი გერმანელი მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი წერს: „ლიახვი შედგება ორი მოზრდილი მდინარისაგან – აღმოსავლეთის პატარა (პატარა ლიახვი) და დასავლეთის დიდი (დიდი ლიახვი) მდინარეებისაგან. ორივენი სათავეს იღებენ ფიქალიან მთებში, თერგის შენაკად არედონისა და მტკვრის შენაკად ქსნის სათავეებთან ახლოს და მიედინებიან რა პარალელურად სამხრეთისაკენ, მტკვართან მარცხენა მხრიდან შერთვის აღვილიდან ახლოს ერთდებიან. მათი მიდამოები და თვითონაც ყველაფერში ჰგვანან ამის წინ აღწერილ მდინარეებს. ასევე მათზეც და მათ შენაკადებზეც მდებარეობენ ზევით ოსური, ქვევით – ქართული მხარეები. პატარა ლიახვის შენაკადებია ზევიდან ქვევით: შამბიანი და პოტნისი...“ (ი. გიულდენშტედტი, 1962: 223).

მდ. პატარა ლიახვის ხეობა ძველი დროიდანვე გამოირჩეოდა საირიგაციო თვისებებით. იმანე ბაგრატიონს თავის თხზულებაში „ქართლ-კახეთის აღწერა“ ჩამოთვლილი აქვს ის სოფლები, რომლებიც პატარა ლიახვით ირწყვებოდა. ესენი იყო: ძევერა, შერთული, ტყვიავი, კარბი, ქორდი, არბო, დიცი, არგვიცი,

ერედვი, ქვაბთა, სარაბუკი, ვანათი, სათიხარი, დისევი, კულბითი, მერე (იგივე შერეთი), ოსის სოფელი (იოანე ბაგრატიონი, 1986: 40). ამ სოფლებში ძველი დროიდანვე განვითარებული იყო სარწყავი მიწათმოქმედება. აღსანიშნავია, რომ ის სოფლები, რომელიც პატარა ლიახვს უშუალოდ არ ემეზობლებოდა, ლიახვიდან გამოყვანილი რუებით სარგებლობდა (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 362; იხ. გ. სოსიაშვილი, 2010: 9).

ვახუშტი ბატონიშვილს აღნიშნული აქვს, რომ ჯარიაშენიდან ვანათამდე ძალზე ნოვიერი მიწა იყო, „...არს ადგილი ესე ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, ბრინჯამბის გარდა ყოველნი სცენდების ნაყოფიერად... არამედ ლვინო იქაური თხელი და მომჟავო გარნა საამო სასმელად“ (იქვე: 363).

XIX ს-ის 80-იან წლებში ლიახვის ხეობის სარწყავი სისტემა ს. მაჩაბელმა გამოიკვლია, რომლის მიხედვით, პატარა ლიახვით ირწყვებოდა შემდეგი სოფლები: არბო, დიღი გარეჭვარი, კარბი, ქერე, კულბითი, ტირძნისი, სულ 303 დესეტინა მიწა (ს. მაჩაბელი, 1887: 159).

პატარა ლიახვის ხეობის ზედა ნაწილი, როგორც ვახუშტი მიუთითებს, შედარებით უმოსავლო ტერიტორია იყო, აქ ძირითადად მესაქონლეობა იყო განვითარებული (დ. გვრიტიშვილი, 1955: 157). თუმცა პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებულ სოფლებში მარცვლეული კულტურის მოყვანასაც მისდევდნენ. თუ გადავხედავთ სოფ. ბელოთსა და საცხენეთში მცხოვრები გლეხების გადასახადებს, ნათლად ჩანს, რომ ხეობის ამ ნაწილში ქერი და ხორბალიც მოჰყავდათ. პატარა ლიახვის ხეობაში მესაქონლეობა უფრო დაწინაურებული იყო, ამას ხელს უწყობდა აქ არსებული საძოვრები. იოანე ბაგრატიონს ჩამოთვლილი აქვს:

„საძოვარნი ადგილი და სათიბნი მინდორნი და მთებნი და სანადირონი ადგილი სამეფო. ქ. აღმოსავლეთის მხარეს“. ამ ადგილებში იგი ასახელებს პატარა ლიახვის მთას, სიათის მთას, ფოხალას მთას (იოანე ბაგრატიონი, 1986: 80).

პატარა ლიახვის ხეობა უძველესი დროიდან იყო დასახლებული. გასულ საუკუნეში ხეობის რამდენიმე სოფელში წარმოებდა არქეოლოგიური გათხრები, მათ შორის სოფ. ფრისში (რომელიც ესაზღვრება პატარა ლიახვის ხეობას).

1959 წელს ფრისის ჩაქცეულ ყორლანში არქეოლოგიური კვლევის შედეგად (ხელ-ლი. ბ. ტეხოვი) აღმოჩნდა აღამიანთა და ცხოველთა ძვლები, თიხის ხუთი ჭურჭელი, რომელთაგან ოთხი დამტვრეული იყო დამარხული, ხოლო მეხუთე შემორჩა ფრაგმენტული სახით. ბ. ტეხოვი მიუთითებს, რომ ფრისში აღმოჩენილი ბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭელი ენეოლითის პერიოდის კერამიკის გავლენას განიცდის. მსგავსი კერამიკული ნაწარმი აღმოჩენილია საჩხერეში, რომელიც აღრეულ ბრინჯაოს პერიოდს განეკუთვნება. ფრისის სამარხში აღმოჩნდა ხანგლის პირი, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული მთელს ამიერკავკასიაში. ბ. ტეხოვის განმარტებით, ფრისის ყორლანი აღამიანთა კოლექტიურ სამარხს წარმოადგენდა (ბ. ტეხოვი, 1963: 36-37). არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა სოფ. ტყვიავშიც, ე.წ. ხარის გორაზე. ტყვიავის გათხრებს, რომელიც 1938-40 წწ. მიმდინარეობდა, პროფ. ს. მაკალათია ხელმძღვანელობდა. ყორლანულ სამარხთა კომპლექსი აღრე ბრინჯაოს ხანით, ძვ.წ. 2500 წლით თარიღდება. სამარხებში აღმოჩნდა სხვადასხვა სახის კერამიკული ნაწარმი, ლითონის ნივთები, ობსიდიანისა და კაუის საჭრისები, საფხეცები და სხვ.

პატარა ლიახვის ხეობაში ძველი დროიდანვე განვითარებული იყო ხელოსნობის სხვადასხვა დარგი, მათ შორის მეთუნეობა. აღსანიშნავია, რომ სოფელი ვანათი მეთუნეობის ერთ-ერთი კერა იყო (ზ. ზანდუკელი, 1984: 156).

აღნიშნული დარგი განვითარებული იყო სოფელ სათიხარშიც, რომლის სახელწოდებაც სწორედ თიხის დამუშავებაზე მიგვანიშნებს (გ. სოსიაშვილი, 2011: 18). მეთუნეობის გარდა პატარა ლიახვის ხეობაში განვითარებული იყო სამლებრო საქმეც. ამას აღასტურებს 1723 წლის ერთი საბუთი, საიდანაც ჩანს, რომ ვახტანგ VI-მ სოფ. საცხენეთში მდებარი დასვა. სამლებროს შემოსავალი კი იკორთის მონასტერს დაუნიშნა (გ. გვასალია, 1983: 75).

XIX საუკუნის დასაწყისში სამლებრო არსებობდა სოფ. არბოშიც, არბოს სამლებროს საიჯარო ფასი წლიურად 12 თუმნით განისაზღვრებოდა (ნ. ბერძენიშვილი, 1967: 323).

ტერიტორიას, რომელსაც პატარა ლიახვის ხეობა მოიცავდა, შეა საუკუნეების მანძილზე ქვეყნის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა. ამას განაპირობებდა მისი სტრატეგიული მდებარეობა. აღრეფეოდალურ ხანაში იგი ორ ნაწილად იყოფოდა: მისი ქვემო ნაწილი საისტორიო წყაროებში, კერძოდ კი VII ს. ანონიმურ სომხურ გეოგრაფიაში ქორდითირიკოს სახელით იხსენიება (ს. კაკაბაძე, 1924: 40), ხოლო შეა და ზემო ნაწილს საცხუმეთი ერქვა. ჭ. გვასალის განმარტებით, საცხუმეთი პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირს ეწოდებოდა (გ. გვასალია, 1983: 25). XI საუკუნის მცხეთის საბუთში, რომლის მიხედვითაც მელქისედეკ კათალიკოსმა სვეტიცხოველს არაერთი სოფელი შეწირა, სოფელი კურბითიც იხსენიება. დოკუმენტი, რომელიც ნ. ბერძენიშვილმა აღადგინა, ვკითხულობთ: „და/ქართლს: მონასტერი პალავრა“ ოთხითა სოფლითა, და ცუქითი შესავალითა მისითა ყინულისი შესავალითა მისითა, და შინდებისა ნახევარი, და] / კურბითს სააზნაურო “კარგი სოფელი...“ (ნ. ბერძენიშვილი, 1967: 283). კათალიკოს მელქისედეკის მიერ სვეტიცხოვლისათვის კულბითის შეწირვას აღასტურებს მატიანე ქართლისა: „შემდგომად ამისა წმიდამან მეუფემან კათალიკოს-პატრიარქმან მელქისედეკ მოიგო ქართლს: მონასტერი პალავრა ოთხითა სოფლითა; და ცუქითი შესავლითა მისითა; ყინულისი შესავლითა მისითა; შინდების ნახევარი; კურბითს სააზნაურო კარგი სოფელი ერთი“ (ქართლის ცხოვრება, 1955: 295). თ. უორდანიას მიერ გამოქვეყნებულ მელქისედეკ კათალიკოსის იმავე სიგელში არასწორად იკითხებოდა: „კურბითს: ჩა: აზნაური, კარგი სოფელი ერთი“ (თ. უორდანია, 1897: 33). ეს ადგილი ისევე, როგორც ტექსტის სხვა ადგილები, ნ. ბერძენიშვილს სხვაგვარად აქვს წაკითხული. მკვლევარმა ერთმანეთს შეუდარა მცხეთის საბუთის ორი პირი. რომლებშიც ხარვეზები იყო გაპარული. ამის შესახებ ნ. ბერძენიშვილი წერს: „როგორი ხასიათისაა ეს სხვაობანი? ჩვენ ვიცით, რომ №14 ხელნაწერი თვით არის პირი, ამიტომ გადაწერის ნიადაგზე წარმომდგარი შეცდომებისაგან არც ის არის დაზღვეული. ასეთი ხასიათის შეცდომად მიგვაჩნია ჩვენ №14-ის გამოთქმა: „ჩა აზნაოროვ“. უკანასკნელი სიტყვის ბოლოსართი „ოი“ გვიჩვენებს, რომ მას წინუძღვდა თავსართი „სა“. ამასვე მოითხოვს კონტექსტი. პირიქით, სრულიად გაუგებარია: „კურბითს: ჩა: აზნაური კარგი. სოფელი: ერთი“, როგორც ეს აღუდგენია №13 პირს. 3 14 პირისათვის („სა“-ს მაგივრად – „ჩა“) ახალი შეცდომა დაურთავს (გაუსწორებია), მაგრამ დაკვირვება არ ჰყოფნის და არსებული შეცდომისათვის („სა“-ს მაგივრად – „ჩა“) ახალი შეცდომა დაურთავს (გაუგებარი „აზნაოროვ“ გასაგებ „აზნაორი“-დ გადაუკეთებია)“ (ნ. ბერძენიშვილი, 1967: 221). შეგვიძლია ვთქვათ, რომ მცხეთის საბუთის ჩვენთვის საინტერესო ადგილის სწორი ვარიანტი ასე გამოიყურება: „კურბითს სააზნაურო კარგი სოფელი...“

შესაძლებელია ტექსტის ამ ადგილში იგულისხმებოდეს არა სოფელ კურბითის შეწირვა, არამედ კურბითში შემავალი ერთ-ერთი სააზნაურო სოფლის ბოძება. არ არის გამორიცხული, რომ XI საუკუნეში კურბითი პატარა ლიახვის გაღმა მხარის, ორბოძლის მთის სამხრეთ ფერდობის აღმნიშვნელი სახელი იყო და აქ რამდენიმე სოფელი შედიოდა. მოგვიანებით ეს სახელი ერთ-ერთ სოფელს შერჩა. როგორც აღვნიშნეთ, ასეთი შემთხვევა გვაქვს საცხუმეთთან მიმართებითაც. ის, როგორც ცნობილია, ეწოდებოდა პატარა ლიახვის ხეობის შუა და ზემო ნაწილს. მოგვიანებით საცხუმეთი პატარა ლიახვის ერთ-ერთ სოფელს „საცხენეთის“ ფორმით შემორჩა. ტოპონიმ „საცხუმეთს“ ყურადღება მიაქცია ჭ. გვასალიამ, იგი წერს: „ეს სახელი ასე იშლება: სა-ცხუმ-ეთ-ი, სადაც „ცხუმ“ ფუძეა, ხოლო სა-ეთ ადგილის სახელწოდების ქართული მაწარმოებლები. „ცხუმ“ სვანურად რცხილას ნიშნავს. სვანური ფუძე ქართული მაწარმოებლებით გაფორმდა, საცხუმეთის ოლქის ბოლოში გვაქვს ტოპონიმი ცხინვალი (ქრცხილვანი). ამ სახელის ქართულ რცხილადან წარმოშობა ეჭვს არ იწვევს. მაშასადამე, გვაქვს ერთმანეთის გვერდით არსებული ერთი და იმავე შინაარსის ქართული და სვანური ტოპონიმები“ (ნ. ბერძნისვილი, 1967: 165-166).

აღსანიშნავია, რომ საცხუმეთის მსგავსად შიდა ქართლის არაერთი ტოპონიმი იხსნება ზანურ-სვანურის შეშვეობით. მაგ.: ლარებისი, რომელსაც თუ სვანურის მეშვეობით გავშიფრავთ, „შუა ადგილს“ ნიშნავს, ასეთივეა პატარა ლიახვის ხეობაში არსებული ტოპონიმი გერი, რაც მეგრულად „მგელს“ აღნიშნავს. საინტერესოა პატარა ლიახვის ხეობაში გავრცელებული ისეთი გვარები, როგორიცაა: ლაფაჩი და ფაჩური. ფაჩი სვანურად „ცაცხვის“ სახელია. ასეთი ტოპონიმები, რომელთა განმარტებაც ზანურ-სვანურის მეშვეობით ხერხდება, პატარა ლიახვის ხეობაში სხვაც არაერთია (გ. სოსიაშვილი, 2013: 54-60). შიდა ქართლში ზანურ-სვანური ტოპონიმების გავრცელებასთან დაკავშირებით ჭ. გვასალია წერს: „თუ უფრო ადრეული ხანიდან არა, გვიანი ბრინჯაოს ხანიდან მაინც დასავლეთ საქართველოსა და შიდა ქართლის მოსახლეობა, არქეოლოგიურ კულტურათა მიხედვით, კულტურულ-ეთნიკურად მჰიდროდაა დაკავშირებული“ (ჭ. გვასალია, 1983: 167). X საუკუნის დასაწყისში ქართლის ფეოდალურ საგვარეულოთა შორის განსაკუთრებით დაწინაურდნენ ტბელები. მათი სახლის წარმომადგენელი – ივანე – აფხაზთა მეფეების მოკავშირე გახდა და მათგან სამართავად ქართლი გადაეცა. ის ქართლის „უფლად“ იწოდებოდა, ამას აღასტურებს ერედვის წმინდა გიორგი ტაძრის წარწერა, სადაც კონსტანტინე აფხაზთა მეფის ჰერეთში ლაშქრობაზეა საუბარი (გ. ლორთქიფანიძე, 1963: 255; რ. მეფისაშვილი, 1944: 44-45; რ. მეფისაშვილი: 1955: 116-117; რ. მეფისაშვილი, 1975: 52-53; ი. იმნაიშვილი, 1970: 16...). ტბელთა ფეოდალურ გვართან X საუკუნის განმავლობაში დიდი და პატარა ლიახვის ხეობის სოფლებში არაერთი ტაძრის აგებაა დაკავშირებული. ტბელთა ფეოდალური გვარის აღზევებამდე პატარა ლიახვის ხეობაში სხვა ფეოდალური სახლებიც არსებობდნენ. მათ პირველობა პოლიტიკურ ასპარეზზე დაწინაურებელმა ტბელებმა ჩამოართვეს. ამას აღასტურებს უკანასკნელ ხანს ჩვენ მიერ სოფელ დიცის ლვთისმშობლის ტაძრის კედლებზე მიკვლეული IX-X საუკუნეების წარწერები (გ. სოსიაშვილი, 2017: 44-87). მოგვიანებით ტბელთა საგვარეულოს პირველობა ქართლში ყანჩაელთა ფეოდალურმა გვარმა წაართვა. კონსტანტინე აფხაზთა მეფის გარდაცვალების შემდეგ, აფხაზთა სამეფო სახლში არსებული არეულობის დროს ივანე ტბელი აფხაზთა მეფეებს განუდგა და აღარნასე ქართველთა მეფის ბანაკში გადავიდა. აღარნასე გარდაცვალების

შემდეგ აფხაზთა მეფე გიორგიმ ქართლი დაიპყრო და იქ გამგებლად თავისი ძე კონსტანტინე დასვა. კონსტანტინე სამი წელი იყო ქართლის გამგებელი. სამი წლის შემდეგ იგი მამას – გიორგი მეფეს განუდგა. ამ დროს ივანე ტბელი კონსტანტინეს მხარეს იბრძოდა, ხოლო ყანჩაელები კონსტანტინეს მოწინააღმდეგენი იყვნენ. ივანე ტბელს კონსტანტინეს გამეფების შემდეგ ქართლის „უფლობის“ დაბრუნების იმედი ჰქონდა. კონსტანტინეს დამარცხების შემდეგ ტბელებმა სამუღამოდ დაკარგეს ქართლის „უფლობის“ დაბრუნების პერსპექტივა. ქართლის „უფალი“ ტბელთა მოწინააღმდეგე ყანჩაელი გახდა. X საუკუნეში პოლიტიკურ ასპარეზზე ქართლის დიდაზნაურებს შორის ყანჩაელთა გვარი დაწინაურდა. მეჯუდის ხეობაში სოფელ ბიეთის ტაძრის სამშენებლო წარწერაში იხსენიება ერისთავთ-ერისთავი იოანე ძე ბაკურ ყანჩაელისა (წარწერების კორპუსი, 1980: 193). არ არის გამორიცხული, რომ ყანჩაელთა საფეოდალოს გავლენა პატარა ლიახვის ხეობის გარკვეულ ნაწილზეც ვრცელდებოდა. როგორც აღინიშნა, დასავლეთ საქართველოსა და შიდა ქართლის მჭიდრო ურთიერთობა აღრე ფეოდალურ ხანაში თვალში საცემი იყო. მეათე საუკუნის დასაწყისში აფხაზთა მეფები შიდა ქართლის დაკავებას ცდილობდნენ, მათი გავლენა პატარა ლიახვის ხეობაშიც ვრცელდებოდა, ამაზე მეტყველებს ჩვენ მიერ ნახსენები ერედვის წმ. გიორგის ტაძრის შესასვლელში დაცული 906-914 წლ. წარწერა (გ. სოსიაშვილი, 2010: 261).

პატარა ლიახვის ხეობა ჩრდილო აღმოსავლეთით ქსნის ხეობას ესაზღვრება, საღაც გვიან ფეოდალურ ხანაში ქსნის საერისთავო არსებობდა. ხეობის ჩრდილო-დასავლეთი მხარე დიდი ლიახვის მხარეს ემეზობლება, სწორედ აქ XV საუკუნიდან ერთ-ერთი ძლიერი სათავადო – სამაჩაბლო იყო ჩამოყალიბებული. პატარა ლიახვის დიდი ნაწილი ისტორიულად ქსნის საერისთავოში შედიოდა, ხოლო ქვემო ნაწილზე არსებულ სოფლებზე არაგვის ერისთავთა გავლენა ვრცელდებოდა. პატარა ლიახვის ხეობაში ძველი დროიდან არაერთი მნიშვნელოვანი გზა გადიოდა, რომელთა მეშვეობითაც არა მარტო შიდა ქართლის სხვადასხვა დასახლებებთან, არამედ ჩრდილოეთ კავკასიასთან დაკავშირებაც იყო შესაძლებელი. ხეობაში გამავალი გზების გაკონტროლების მიზნით აქ არაერთი ციხე-სიმაგრე არსებობდა, ამ ციხე-სიმაგრეებიდან აღსანიშნავია: ვანათის, ერედვის, ბელოთის და აწრისხევის ციხე-სიმაგრეები. როგორც აღვნიშნეთ, X საუკუნის დასაწყისში პატარა ლიახვის ხეობაში აფხაზთა მეფებმა მოიკიდეს ფეხი, ხეობის ერთ-ერთ სოფელს – ერედვის სწორედ აფხაზთა მეფეები ფლობდნენ, რომლებიც ამ დროს ქვეყანაში პირველობის მოპოვებისთვის იბრძოდნენ. ამ ბრძოლაში მათ არაერთხელ დალაშერეს ჰერეთის სამეფო, ამას ადასტურებს ერედვის წმ. გიორგის ტაძრის 906 წლის წარწერა, საღაც კონსტანტინე აფხაზთა მეფე იხსენიება. ამ წარწერაზე დაყრდნობით რ. მეფისაშვილი წერს: „ვეუინდან წარმოსული კონსტანტინე გომბორის უდელტეხილის გავლით უინვანში უნდა ჩასულიყო, აქედან შესაძლოა იგი მლეთაში გაემგზავრა, მლეთიდან გადავიდა ქარჩხის ხეობაში, საღაც ალავერდი იმყოფება, შემდეგ კონსტანტინე პატარა ლიახვის ხეობით, ერედვის გავლით ცხინვალში უნდა ჩასულიყო, ცხინვალიდან კი ბრეძაში გადასულიყო“ (რ. მეფისაშვილი, 1955: 114). პატარა ლიახვის ხეობის ქსნის ხეობასთან დამაკავშირებელი გზა XVIII საუკუნემდე ფუნქციონირებდა. ამ პერიოდში საქართველოში მყოფ გერმანელი მოგზაურს იოპან ანტონ გიულდენშტედტს სწორედ ამ გზით უსარგებლია, როდესაც ცხინვალიდან ქსნის ხეობაში პატარა ლიახვის ხეობის გზით გადასულა. გიულდენშტედტს ამ გზის მარშრუტი ასე აქვს აღწერილი: ცხინვალი-ფრისი-

ერედვი – ვანათი – საცხენეთი – ელტურა – ბელოთი – ფოტნისის ხეობა – ზონკარი – წინუბანი – აწერისხევი – მდ. კობაისის ხეობა – პატარა ლიახვის გადაკვეთა ჩრდილო-აღმოსავლეთით – წითორი – ჭოვახთი მდ. მეჯუდას ფონი – კოლხიონი – ცხრაწყარო – კორა-ჭურთას ხევი – უპეთი (რამდენიმე პატარა სოფელი, რომელთაც არ ასახელებს) – ლარგვისის მონასტერი (ი. გიულდენშტედტი, 1962: 179). პატარა ლიახვის ხეობიდან გზა გადადიოდა ასევე არაგვის ხეობაში. XIX საუკუნის 80-იან წლებში გაზეთ „დროების“ კორესპონდენტი გ. ლიახველი (ჩოჩიშვილი) პატარა ლიახვის სოფელ ვანათში სტეფანწმინდიდან ჩამოსულა (გ. ლიახველი, 1884: 2). პატარა ლიახვის ხეობიდან ერთ-ერთი გზა რაჭის გავლით იმერეთშიც გადადიოდა. ვანათიდან ამ გზით უკავშირდებოდნენ ჭავას, ჭავიდან კვაისას გავლით შესაძლებელი იყო რაჭაში ჩასვლა, რაჭიდან კი იმერეთში (ს. მაკალათია, 1971: 57). იმერეთთან დამაკავშირებელი გზით XVIII საუკუნეში სამეფო ხელისუფლებაც სარგებლობდა, ამ გზით ჩამოვიდა პატარა ლიახვის ხეობაში იმერეთის მეფე სოლომონ II, როდესაც ის სოფელ ვანათში მთავარმართებელ ტორმასოვს შეხვდა. იმერეთთან დამაკავშირებელ გზას იყენებდა იულონ ბატონიშვილიც. ცნობილია, რომ ქსნის საერისთავოს გაუქმების შემდეგ (1777) პატარა ლიახვის ხეობა ერკლე II-მ თავის ძეს იულონს უბოძა, იულონს რეზიდენცია სოფელ ბელოთში ჰქონდა. რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი იულონ ერეკლეს ძე პატარა ლიახვის გზით ახერხებდა იმერეთში გახიზვნას (ი. ქართველიშვილი, 1952: 86). პატარა ლიახვის ხეობიდან გზა მიემართებოდა ასევე ცხინვალში (იქვე: 95). პატარა ლიახვის ხეობას ერთ-ერთი გზა ჩრდილოეთ კავკასიისთანაც აკავშირებდა. სბის გადმოსასვლელით, ზახას გავლით გზა თრუსოს ხეობაში ჩადიოდა და სოფ კობთან საქართველოს სამხედრო გზას უერთდებოდა. ზახადან აღნიშნული გზის ერთი განშტოება სოფელ ედისს უკავშირდებოდა, ედისიდან კი პატარა ლიახვის ხეობას, კერძოდ კი სოფ. ვანათს (გ. თოვოშვილი, 1969: 50). ამ გზას ვანათის ციხე აკონტროლებდა. „დასტურლამალში“, დაცული ცნობის თანახმად, სამეფო ხელისუფლების დავალებით ვანათის მცხოვრებლებს ვანათის გზის მოვლა ევალებოდათ. „გზების შენახვის გარიგებაში“. აღნიშნულია: „უნდა უთაონ თულაშვილებმა – თაკეელთ, ლვეველთ, ფრელთ, ვანათელთ და თულაანთ მამულმა ფანჯების გზა შეინახონ“ (ქსძ, 1970: 532).

ჩრდილოეთ კავკასიიდან პატარა ლიახვის ხეობასთან, კერძოდ, სოფელ ვანათთან და ქართლის სოფლებთან დამაკავშირებელი გზის ერთი მონაკვეთი მიემართებოდა სოფელ დისევის სიახლოვეს, რომელსაც ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით „საოსო გზა“ ეწოდებოდა. ამ აღგილზე „საოსო გზა“ რამდენიმე განშტოებად იყოფოდა. ოქროპირიძეების სიგელში\* ნახსენებია: „საოსო გასაყარ გზამდისინ“ (ი. მეგრელიძე: 27).

გვიანდეოდალურ პერიოდში პატარა ლიახვის ხეობის სოფლები გადანაწილებული იყო სხვადასხვა საფეოდალოებს შორის. მისი ჩრდილო-დასავლეთი მხარე ქსნის ხეობას ემიჯნებოდა. პატარა ლიახვის ხეობის ეს ნაწილი ქსნის საერისთაოში შედიოდა. ამას ხელი შეუწყო ქსნის ერისთავებისადმი საქართველოს სამეფო კარის კეთილგანწყობამ, კერძოდ, XIV ს-ის დასაწყისში ვახტანგ III-მ (1302-1308) შალვა ქვენიფნეველს ქსნის ხეობის სხვა სოფლებთან

\* სიგელს XVI საუკუნით ათარიღებს თ. ერიდანია, ზოლო ოქროპირიძეები მას დავით აღმაშენებლის მიერ ბოძებულ სიგელად თვლიან (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973: 362-363).

ერთად, პატარა ლიახვის ხეობაში არსებული ერთ-ერთი სოფელი – აწრისხევი უწყალობა (ძეგლი ერისთავთა, 1954: 348).

XV-XVIII სს. ქსნის ერისთავებმა კიდევ უფრო გააფართოვეს თავიანთი საფეოდალოს საზღვრები. როგორც ჭ. გვასალია განმარტავს: „XV-XVIII სს. ქსნის ერისთავთა ექსპანსია მიმართულია შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთისაკენ. დიდ ლიახვზე იერთებენ მის სათავეებს – მაღრან-დვალეთს (ტერმინი გვიანშუასაკუნეების ხანისაა), პატარა ლიახვზე სავახტანგოს ნაწილს და გვერდისძირს“ (ჭ. გვასალია, 1983: 26).

სავახტანგო, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობის მიხედვით, პატარა ლიახვის ხეობის ერთ ნაწილს ეწოდებოდა: „უწოდებენ ვანათითურთ სავახტანგოს“ (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973: 362-363).\*\*

გვერდისძირი კი პატარა ლიახვს და მდ. მეჯუდას შუა წელს შორის მდებარე ტერიტორიას აღნიშნავდა (ჭ. გვასალია, 1983: 25).

ქსნის ერისთავებმა პატარა ლიახვის ხეობაში არაერთი ციხე-სიმაგრე ააშენეს. მათ ერთ-ერთ სოფელში – ბელოთში საკუთარი სასახლე-რეზიდენციაც ჰქონდათ.

იოანე ბაგრატიონს თავის თხზულებაში – „ქართლ-კახეთის აღწერა“ – ცალკე აქვს გამოყოფილი ქსნის საერისთაოში შემავალი პატარა ლიახვის ხეობის სოფლები: „ქ. გვერდისძირზედ, რომელიც ქსნის საერისთაოს მიეწერებოდა და ესე ადგილი და სოფელი მეფის ძეს იულონს ეპირა, არიან შემდგომნი ეს... პატარა ლიახვის ხეობაზედ მცხოვრებნი ოსნი და შიგ ნახევრად ქართველნიცა:“

- ქ. საცხენისი, მოსახლე
- ქ. ედემქალაქი, მოსახლე
- ქ. ბელოთი, მოსახლე
- ქ. აწრისხევი, მოსახლე
- ქ. ოსის ზონქარი, მოსახლე
- ქ. შუაცხვირი, მოსახლე
- ქ. სიათა, მოსახლე
- ქ. გნასური, მოსახლე
- ქ. ინაური მოსახლე
- ქ. ჩაბარუხეთი მოსახლე
- ქ. წიფორი მოსახლე
- ქ. შამშიანი მოსახლე
- ქ. ქნოლო მოსახლე
- ქ. მაღრან-დვალეთი სოფელი (იოანე ბაგრატიონი, 1986: 38).

\*\* ძეგლია ტერმინ „სავახტანგოს“ ზუსტი განმარტება. ვახუშტი ბატონიშვილი „სავახტანგოს“ პატარა ლიახვის ხეობის ერთ ნაწილს უწოდებს: „უწოდებენ ვანათითურთ სავახტანგოს“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 362-363). აღნიშნულ ტერმინს ვხვდებით ასევე XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსის – ფარსადან გორგიგანიძის თხზულებაში. მისი გადმოცემით, ქართლის მოურავის გიორგი სააკაძის ოსმალეთში გადახვეწის შემდეგ სვიმონ მეფემ ზურაბ არაგვის ერისთავს „ზოგ-ზოგი სავახტანგო სოფლები“ უბოძა (ფარსადან გორგიგანიძე, ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, ტ. II, 1925: 236). არ არის გამორიცხული, რომ „სავახტანგო“ პროვინციის რომელიმე მეფე ვახტანგთან იყოს დაკავშირებული. ერთ-ერთი ასეთი პროვინციის მეფე იყო ვახტანგ IV – ალექსანდრე I დიდის ვაჟი, ხოლო მეორე – გიორგი VIII-ის ძე ვახტანგი (დ. ნინიძე, პროვინციის მეფეები, 1995: 135, 161). რაც შეეხება „გვერდისძირს“, იგი მდ. პატარა ლიახვს და მდ. მეჯუდას შუა წელს შორის მდებარე ტერიტორიას აღნიშნავდა (ჭ. გვასალია, 1983: 25).

ქსნის ერისთავთა მამულების ჩამონათვალში, როგორც ვხედავთ, იოანე ბაგრატიონი მაღრან-დვალეთსაც იჩსენიებს. მართალია, მაღრან-დვალეთი დიდი ლიახვის ხეობის სათავეს მოიცავდა, მაგრამ ქსნის ერისთავები აქ ჩამდენიმე სოფელს ფლობდნენ (ჭ. გვასალია, 1983: 75). პატარა ლიახვის ხეობას გვიანთეოდალურ პერიოდში ქსნის ერისთავების მიერ დანიშნული მოურავი განაეხდა. მოურავობა აზნაურ ფურცელაძეებს ჰქონდათ ბოძებული (დ. გვრიტიშვილი, 1955: 241).

ერთ-ერთ საბუთში ქსნის ერისთავი – გიორგი ყულარალასი აღნიშნავს: „ლიახვი, ფურცელაძეების სახელო რაც არის მე მეჭიროს: ოსი და ქართველი, გაღმა და გამოღმა; ხალურის ედიშერის ალაგის გარდა და ედიშერის გარდა, იმის ზეით – თავენოლომდის; გაღმა და გამოღმა ლიახვი; ფოტრისა, რაც ჩვენი სახასო არის; გვიდისი, რაც ჩვენი სახასო არის, საყდრის ყმებს გარდა; დვალურა სულ მთლივ; ვაკეში მარანა, აზნაური და გლეხი სულ მთვლივ“ (იქვე: 272). მოურავი ფურცელაძეები პატარა ლიახვის ხეობის ერთ-ერთ სოფელში – მერეთში სახლობდნენ. ქსნის საერისთავო სამხრეთ-დასავლეთით სოფელ ტყვიავთან არაგვის საერისთავოს ესაზღვრებოდა, თუმცა არაგვის ერისთავების გავლენა პატარა ლიახვის ხეობაზე, მის ქვემო წელზე არსებული რამდენიმე სოფლით არ შემოიფარგლებოდა, ისინი ფლობდნენ სოფ. გერსა და გერისთავს, ასევე არბოს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნარატიული წყაროების მიხედვით არაგვის ერისთავები წარმოშობით პატარა ლიახვის ხეობიდან, კერძოდ, სოფ. ვანათიღან იყვნენ (გ. სოსიაშვილი: 57). ქსნისა და არაგვის ერისთავების გარდა პატარა ლიახვის ხეობის სოფლებში შუასაუკუნეებში ყმა-გლეხებს და მამულს სხვა ფეოდალებიც ფლობდნენ, მაგ., საამილახვროს საზღვარი სოფ. ძევერასთან გადიოდა. თუმცა ამილახვრებს პატარა ლიახვის ხეობის რამდენიმე სოფელში ჰყავდათ ყმები, მათ შორის კარბსა და ვანათში (იქვე: 77; იოანე ბაგრატიონი, 1986: 37-38). არაგვის ერისთავების გავლენაზე უნდა მეტყველებდეს ის ფაქტიც, რომ XIX საუკუნის I ნახევარში ვანათში ყმა ჰყავდა ანანურის სალოცავს (ჩ. თოფჩიშვილი, 1997: 153).

საარაგვო სოფლების აღწერისას იოანე ბაგრატიონი თავის თხზულებაში მიუთითებს პატარა ლიახვის ხეობის ზოგიერთ სოფელს: „ქ. საარაგვო სოფლები, რომელიც მიეწერება და მეზობელნი არიან ამა ლიახვის ხეობისა არიან ესენი:

- ქ. საარაგვო შინდისი, მოსახლე, ქ. ტირძნისი მოსახლე,
- ქ. ვანათი მოსახლე,
- ქ. ოსის სოფელი მარილეთი, მოსახლე,
- ქ. შურიული, მოსახლე,
- ქ. ინაური მოსახლე,
- ქ. ყლარცვი მოსახლე,
- ქ. მეფარეთი მოსახლე,

ქ. გერი, მოსახლე, ესეც იულონს თ-ს ეყიდა. ახლა ერისთავიანთ უჭირავთ“ (იოანე ბაგრატიონი, 1986: 38).

პატარა ლიახვის ხეობის რამდენიმე სოფელში ყმა-მამულს ფავლენიშვილებიც ფლობდნენ. მათი საგვარეულოს ერთ-ერთი შტო სოფ. ერედვში სახლობდა, ფავლენიშვილებს აქ ციხე-სიმაგრეც ჰქონდათ. აქვე იყო მათი საგვარეულო სამარხი. ერედვის გარდა ფავლენიშვილებს ყმები ჰყავდათ სოფ. ვანათშიც (გ. სოსიაშვილი, 2005: 32), აგრეთვე სოფ. ქორდშიც (თ. ეორდანია, 1897: 441).

პატარა ლიახვის ხეობის ზოგიერთ სოფელში ყმები ჰყავდათ ასევე მაჩაბლებს (გ. სოსიაშვილი, 2010: 35). სხვადასხვა ფეოდალურ საგვარეულოთა გარდა,

პატარა ლიახვის ხეობის სოფლებში ყმა-მამულს საქართველოს საპატრიარქოც ფლობდა. ამ სოფლებიდან უნდა დავასახელოთ: ქორდი, ვანათი, სათიხარი, ერედვი (გ. სოსიაშვილი, 2016; 320). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პატარა ლიახვის ხეობის რამდენიმე სოფელში მამულებს ფლობდნენ უცხოეთში არსებული ქრისტიანული ეკლესია-მონასტრები. ბელოთთან ახლოს, პატარა ლიახვის ერთ-ერთ შენაკად ფოტოებისას ნაპირზე თავისი მეტოქი, ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესია ჰქონდა ათონის მთაზე არსებულ ვატოპედის ბერძნულ მონასტერს, რომელიც მდ. პატარა ლიახვის დინებაში დაანგრია, ქართლის დედოფალმა მარიამმა XVII საუკუნის II ნახევარში აქ ახალი ტაძარი ააგო და დეკანოზად ცხინვალში მცხოვრები მახნიაშვილი დანიშნა (ქსძ, 1974: 128).

პატარა ლიახვის ხეობაში არსებული სოფელი თერგვისი მფლობელობაში ჰქონდა იერსულიმის ჯვრის მონასტერს. წმინდა მიწაზე არსებული ქართული სასულიერო ცენტრისთვის აღნიშნული სოფელი ლუარსაბ II-ს 1624 წელს შეუწირავს (გ. სოსიაშვილი, 2016<sub>2</sub>; 150). XVIII საუკუნის ბოლოს ქსნის საერისთაოს გაუქმების შემდეგ, პატარა ლიახვის ხეობა ერეკლე მეორემ თავის ძეს – იულონ ბატონიშვილს გადასცა, თუმცა იულონ ბატონიშვილის რუსეთში გადასახლების შემდეგ დავით გიორგის ძე ბატონიშვილმა პატარა ლიახვის ხეობის სოფლები კვლავ ქსნის ერისთავებს უბოძა. XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში ოსთა განსახლების ადგილები ძირითადად მთიანი ზოლი იყო. ოსთა ახალშენები გაჩნდა პატარა ლიახვის ზემო წელზე. ვახუშტი ბატონიშვილის განმარტებით, პატარა ლიახვის ხეობაში ოსები ვანათს ზემოთ იყვნენ დასახლებულნი (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973: 362). ოსები ცხოვრობდნენ პატარა ლიახვის ერთ-ერთი შენაკადის – ფოტოების ხევის სოფ. შუაცხვირში, ასევე პატარა ლიახვის ხეობაში არსებულ სოფ. აწრის ხევის ზევით (იქვე: 363). იოანე ბაგრატიონის აღწერით, პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებულ სოფლებში XVIII საუკუნის ბოლოს ნახევრად ქართული მოსახლეობა იყო: „ამასვე მიეწერება პატარა ლიახვის ხეობაზედ მცხოვრებნი ოსნი და შიგ ნახევრად ქართველნიცა“ (იოანე ბაგრატიონი, 1986: 38). ამ დროისათვის, რ. თოფჩიშვილის განმარტებით, ოსებს კომპაქტური დასახლებანი ჰქონდათ დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის მთიან ნაწილში, აგრეთვე თრუსოსა და კუდაროში (რ. თოფჩიშვილი, 1997: 148).

ახლად ჩამოსახლებული ოსებისათვის დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში სპეციალური სამოურაოებიც კი იყო ჩამოყალიბებული. ერთ-ერთ მათგანს, რომელიც პატარა ლიახვის ხეობაში არსებობდა, საპატრიარქოს მიერ დანიშნული მოურავები – გედევანიშვილები განაგებდნენ. ეს იყო ბადან-ხოდელის სამოურაო. ანტონ I კათალიკოსის სიგელში ვკითხულობთ: „ეს უკუნისამდე უამთა და დროითა გამოსაღები მტკიცე და და უცვლელი წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ შენ გედეონისშვილს გიორგის და მომავალთა სახლისა შენისათა ჩვენის ეკლესიის ყმების ოსების მოურავობა ბადანისა და ხოდელისა, რომელიც შეგეძლოს უნდა მოუარო და ეკლესიას იმათი თავი არ დაუკარგო და რიგიანად რომელიც გეწყობოდეს, ისე გვემსახურო. და თუ ურჩი შეიქმნენ, მისის სიმაღლის ჩვენი ოქმიც გებოძება. და ესე ჩვენგან ბოძებული წყალობა გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ეკლესიისა და ჩვენს ერთგულობასა შინა“ (გ. სოსიაშვილი, 2011<sub>2</sub>: 78).

დოკუმენტში ნახსენები ბადანი პატარა ლიახვის ხეობაში ქორდთან ახლოს არსებული სოფელი იყო. ბადანშვილებით დასახლებული სოფელი ბადანი ნასოფლარად იქცა (გ. სოსიაშვილი, 2016<sub>3</sub>: 148). კათალიკოს-პატრიარქ ანტონ

I-ის გაცემულ დოკუმენტში ნათლად ჩანს, რომ გიორგი გედევანიშვილს ბადაანსა და ხოდელში ჩამოსახლებული ეკლესის ყმობაში მყოფი ოსების ზედამხედველობა ევალებოდა. ლიახვის ხეობაში ოსებისათვის სპეციალური მოურავების დანიშვნა სხვა დოკუმენტითაც დასტურდება, 1796 წლით დათარიღებულ დოკუმენტში – „არზა გოგია ციციშვილისა ყმის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით“ – ვკითხულობთ: „ქ. ლმერთმა ბეღნიერის მეფის ძის იულონის ჭირი ციციშვილს პატას შვილს გოგიას მისცეს. ამ არეულობაში ქალაქს რომ გახლდი, ერთი ჩემი ხაბაზი დამრჩა მახარე მებალის შვილი, გამოქცეულიყო ერთი ის და ერთი ანასტასია ბატონისშვილის ბიჭი და ნიქოზებში ერთს ქართველს და ერთს ოსს ის ჩემი ბიჭი კი დაეჭირათ და ის მეორე ბიჭი კი გაქცეოდათ, წაეყვანათ და თოთხმეტ ხარათ მირზაშვილის სამოურაო ოსებში გაეყიდათ. ამ წყალობას ვითხოვთ, ერთი ოქმი მიბოძოთ მირზასშვილ თამაზზედ, რომ ის ბიჭის გამყიდველიც მამიკითხოს, და ის ბიჭიც დახსნით იყოს, თუ რითაც იყოს, ჩამამგვაროს, რომ ის ბიჭი არ დამეკარგოს. იქიდამ შემოეთვალა მეორეთ მყიდიანო. და ღმერთი გადლეგრძელებს, ბეჭითი ოქმი მიბოძეთ, რომ არ დამეკარგოს, თქვენს საყმოში არის. აპრილის ივ, ქორონიკონს უპდ“. იულონ ბატონიშვილმა მოურავ მირზაშვილს თამაზა ციციშვილის ყმის მოძებნა დაავალა (ქსძ, 1985: 363). დოკუმენტში კონკრეტულად არ ჩანს მირზაშვილის სამოურაო ოსებში შიდა ქართლში ჩამოსახლებული ოსების რომელი ახალშენი იგულისხმება, სავარაუდოდ, ეს უნდა ყოფილიყო დიდი ლიახვის სათავეები, რაღაც დოკუმენტში ნახსენებია დიდი ლიახვის ხეობაში არსებული „ნიქოზები“. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ XVIII საუკუნეში ოსები დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში ახალი ჩამოსახლებული იყვნენ. ისინი ადგილობრივ გარემოსთან იმდენად უცხონი იყვნენ, რომ მათი ზედამხედველობისთვის, ოსების მხრიდან ჩეციდვების თავიდან აცილების მიზნით საგანგებო სამოურავოები იქმნებოდა.

XIX საუკუნეში საქართველოში რუსული მმართველობის დამყარება პატარა ლიახვის ხეობაზეც აისახა. იგი ჯერ ოსეთის ოკრუგში შედიოდა (ოსეთის ოკრუგი 1843 წელს გაიხსნა), ხოლო შემდეგ – გორის მაზრაში. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიისა და გასაბჭოების შემდეგ, რასაც ქვეყნის ახალი ადმინისტრაციული მოწყობა მოჰყვა, პატარა ლიახვის ხეობა ორ ნაწილად იქნა გაყოფილი: ერთი ნაწილი გორის რაიონის შემაღებელობაში შევიდა, მეორე კი ე.წ. სამხრეთ ოსეთში. პატარა ლიახვის ხეობის მთელი რიგი სოფლები, მათ შორის „მერეთის საზოგადოებიდან“: სნეკვი, ზარდიანთკარი, ქსუისი, ჭარები, კულბითი, დისევი (აქედან 1536 ქართველი მოსახლე, ხოლო 119 ოსი ეროვნების), ორტევის საზოგადოებიდან – სოფ. ვანათი (432 ქართველი მოსახლე, ხოლო 48 ოსი ეროვნების), ხოლო „ბელოთის საზოგადოებიდან“: აწრისხევი, საცხენეთი, ხადურა, ხადურიანთკარი, ბელოთი, ზემო ავნევი, ქვემო ავნევი (აქედან აწრისხევში – 299 ქართველი მოსახლე, საცხენეთში – 289, ხადურაში – 135, ხადურიანთკარში – 22, ბელოთში – 220, ზემო ავნევში – 287, ქვემო ავნევში – 127). ადგილობრივი მოსახლეობის (იგულისხმება დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში, ასევე ფრონეს ხეობაში მაცხოვრებლების) წინააღმდეგობის მიუხედავად (ცსა, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 62, ფურც. 81; გ. სოსიაშვილი, 2017<sup>2</sup>).

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 20 აპრილის დეკრეტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს 40 ქართველი სოფელი გადაეცა. პატარა ლიახვის ხეობის ის სოფლები, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ

ოლქში მოექცა, სამ საზოგადოებაში იყო გაერთიანებული. ესენი იყო: მერეთის (შედიოდა 6 სოფელი: სნევი, ზარდიანთ კარი, ქსუსი, ჭარები, კულბითი, დისევი, სულ ამ საზოგადოებაში შედიოდა 1655 მაცხოვრებელი, აქედან 1536 ქართველი, 119 ოსი ეროვნების) (ლ. თოიძე, 1991: 89), ორტევის (შედიოდა 1 სოფელი – ვანათი 480 მაცხოვრებით, აქედან 432 ქართველი იყო, ხოლო 48 ოსი) (იქვე: 90), ბელოთის (შედიოდა 8 სოფელი: აწერისხევი, საცხენეთი, ხაშურა, ხადურიანთ კარი, ბელოთი, ზემო ავნევი, ქვემო ავნევი. სულ 1379 მაცხოვრები, ყველა ქართველი ეროვნების) (იქვე).

შიდა ქართლის ერთ-ერთი უძველესი ხეობა დღეისათვის ოკუპირებულია. მკვიდრი მოსახლეობა დევნილად იქცა. განადგურებულია ქართველთა საცხოვრებლები. ისტორიულ ქართულ მიწაზე ჩუსეთის ხელისუფლებამ სამხედრო ბაზები ააშენა. იშლება ქართველთა ცხოვრების ნაკვალევი, ნადგურდება ქართული ხუროთმოძღვრების უნიკალური ძეგლები.

### დამოწმებული ლიტერატურა

იოანე ბაგრატიონი, 1986 – იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბელოშვილმა, თბ., 1986.

ვახუშტი ბატონიშვილი, 1973 – ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხხიშვილის მიერ, თბ., 1973.

ნ. ბერძენიშვილი, 1967 – ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, თბ., 1967.

ჯ. გვასალია, 1983 – ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983.

დ. გვრიტიშვილი, 1955 – დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955.

გიულდენშტედტი, 1962 – გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთობ. გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962.

გ. ზანდუკელი, 1984 – გ. ზანდუკელი, ქალი მეთუნები შიდა ქართლში, კრებ: შიდა ქართლი, ეთნოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1984.

გ. თოვოშვილი, 1969 – გ. თოვოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, XV-XVIII სს., თბ., 1969.

ლ. თოიძე, 1991 – ლ. თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ., 1991.

რ. თოფჩიშვილი, 1997 – რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოსტორიის საკითხები, თბ., 1997.

ი. იმნაიშვილი, 1970 – ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, თბ., 1970.

ს. კაკაბაძე, 1924 – ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, წიგნი I, თბ., 1924.

გ. ლიახველი, 1884 – გ. ლიახველი, მგზავრის შენიშვნები, „დროება“, №77, 1884.

გ. ლორთქიფანიძე, 1963 – გ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963.

- ს. მაკალათია, 1971 – ს. მაკალათია, ლიახვის ხეობა, თბ., 1971.
- ს. მაჩაბელი, 1887 – С. В. Мачабели, Экон. быт государственных крестьян Горийского уезда Тифлиской губерний, Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. VI, ч. I, Тиф., 1887.
- რ. მეფისაშვილი, 1944 – რ. მეფისაშვილი, ერედვის წმ. გიორგის ექლესის საამშენებლო წარწერა, საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. V, №10, 1944.
- რ. მეფისაშვილი, 1955 – რ. მეფისაშვილი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული ხელოვნება, №4, 1955.
- რ. მეფისაშვილი, 1975 – Р. Меписашвили, В. Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической провинции Грузии Шида Картли. Тб., 1975.
- თ. ჟორდანია, 1897 – თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, ტფ., 1897.
- გ. სოსიაშვილი, 2005 – გ. სოსიაშვილი, ვანათის ისტორიიდან, თბ., 2005.
- გ. სოსიაშვილი, 2010 – გ. სოსიაშვილი, დიცის ისტორია, თბ., 2010.
- გ. სოსიაშვილი, 2010 – სოფ. ერედვის ისტორიიდან, გორის უნივერსიტეტის II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, შრომათა კრებული, 2010.
- გ. სოსიაშვილი, 2011, – გ. სოსიაშვილი, ნარკვევები შიდა ქართლის ისტორიიდან, თბ., 2011.
- გ. სოსიაშვილი, 2011<sub>2</sub> – გ. სოსიაშვილი, ნარკვევები ლიახვის ხეობის ისტორიიდან, თბ., 2011.
- გ. სოსიაშვილი, 2013 – გ. სოსიაშვილი, შიდა ქართლის ისტორიის საკითხები, თბ., 2013.
- გ. სოსიაშვილი, 2016<sub>1</sub> – გ. სოსიაშვილი, საპატრიარქოს მამულები პატარა ლიახვის ხეობაში, გორის სახელმწიფო საწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შრომათა კრებული, №11, 2016.
- გ. სოსიაშვილი, 2016<sub>2</sub> – გ. სოსიაშვილი, იერუსალიმის ჯვრის მონასტრისა და სინას მთის მამულები ლიახვის ხეობაში, გორის სახელმწიფო საწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შრომათა კრებული, №9, 2016.
- გ. სოსიაშვილი, 2016<sub>3</sub> – გ. სოსიაშვილი, ლიახვის ხეობის ნასოფლარები, გორის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შრომათა კრებული, №10, 2016.
- გ. სოსიაშვილი, 2017<sub>1</sub> – გ. სოსიაშვილი, დიცის წარწერები, თბ., 2017.
- გ. სოსიაშვილი, 2017<sub>2</sub> – G. Sosishvili, The Oppression of the Georgian population in Tskhinvali Region during the first years of soviet occupation, Pro Georgia Journal of Kartvelological Studies, Warsaw, 2017.
- ბ. ტეხოვი, 1963 – Б. Техов, к истории изучения памятников эпохи энеолита и бронзы в нынешнем течении реки Большой Лиахви, Тб., 1963.
- ი. ქართველიშვილი, 1952 – ი. ქართველიშვილი, მემუარები, ა. იოსელიანის გამოკვლევით, რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1952.
- ქართლის ცხოვრება, 1955 – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
- ქრესტომათია, 1953 – ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, V-X საუკუნეების ძეგლები გამოსცა, ტაბულები და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა, თბ., 1953.

ქსძ, 1970 – ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ო. სურგულაძემ, თბ., 1970.

ქსძ, 1974 – ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ო. დოლიძემ, ტ. V, თბ., 1974.

ქსძ, 1985 – ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ო. დოლიძემ, ტ. VIII, თბ., 1985.

წარწერების კორპუსი, 1980 – ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980. ცსა – საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 62, ფურც. 81.

ძეგლი ერისთავთა, 1954 – ძეგლი ერისთავთა, შ. მესხიას გამოცემა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954.

## GIORGİ SOSIASHVILI

### PATARA (SMALL) LIAKHVI GORGE (HISTORICAL-GEOGRAPHIC REVIEW)

The territory which was comprised by Small Liakhvi Gorge during the Middle Ages had a special significance for the public life. It was stipulated by its strategic location. It was divided into two parts in early Feudalism. In the historical sources, particularly in the anonymous Armenian Geography of the VII century, its lower part was called Korditiriko, and middle, and upper parts of Small Liakhvi Gorge were called Satskhumeti. The Small Liakhvi Gorge borders the northern-eastern part of Ksani Gorge, where in the late Feudalism there was the Ksani Saeristavo there. The northern-western part of the Gorge adjoins the Big Liakhvi Gorge, it was exactly the place, where one of the most powerful Satavado – Samachablo was established in the XV century. The most part of the Small Liakhvi Gorge historically was included in the Ksani Saeristavo, and the villages of the lower part of the Gorge were under the influence of Aragvi Eristavi. From the ancient times, many important roads went through the Small Liakhvi Gorge, by means of which it was easy to get in touch with not only ShidaKartli settlements, but with the North Caucasus as well. There were many fortresses that controlled the roads in the Gorge. In the XIX century, the establishment of Russian government in Georgia influenced the Small Liakhvi Gorge as well. First, it was included in the Ossetian Okrug (District), which was founded in 1843, and then, it was a part of Gori District. After the annexation and sovietization of Georgia by Russia, which was followed by the country's new administrative structure, the Small Liakhvi Gorge was divided into two parts, one part belonged to Gori Region, another one – to the so-called South Ossetia. Currently, one of the most ancient Gorges of ShidaKartli is occupied. The local population has become refugees. Georgian settlements are destroyed. The Russian government built military bases on the historical Georgian land. The trace of Georgian life is being removed, and the unique monuments of Georgian art are being destroyed.